ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

ადიგენის მუნიციპალიტეტი

საქართველო

2022 წელი

ადიგენის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მივიჩნევთ. მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი რესურსების სიუხვე, სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, განვითარებული კლიმატურ-ბალნეოლოგიური საკურორტო ზონა, არსებული ტურისტული და კულტურული ობიექტები, კლიმატური პირობები, რელიეფი და მიწის სტრუქტურა, ტრადიციული და თანამედროვე სოფლის მეურნეობის მიმართულებები, მეწარმეობის დივერსიფიცირება, საინვესტიციო პოტენციალი, განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა და არსებული მუნიციპალური სერვისები იძლევა ეკონომიკურად გაძლიერების რეალურ შესაძლებლობებს.

ხაზგასმით მინდა ავღნიშნო ევროკავშირის მხარდაჭერის მნიშვნელობა, იაპონიის საელჩოს მიერ პროექტების დაფინანსება, არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ევროკავშირის ინიციატივასთან დაკავშირებით ადიგენის მუნიციპალიტეტის თვითმართველობა მზადაა გავიზიაროთ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების გამოცდილება, ვითანამშრომლოთ კერძო და სამოქალაქო სექტორთან, ხელი შევუწყოთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნას.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის, შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორთან კიდევ უფრო აქტიური დიალოგი და თანამშრომლობა, პრიორიტეტების და საჭიროებების სწორად გამოკვეთა და ღონისძიებების ერთობლივად, პარტნიორულად დაგეგმვა-განხორციელების უზრუნველყოფა.

2022 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ნაწილი დაფინანსდება ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ამასთან ერთად გათვალისწინებულია ღონისძიებები სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით, სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართულობით, დაგეგმილია აქტიური მუშაობა დონორების მოძიებისთვის. უნდა აღინიშნოს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების, კერძო და სამოქალაქო სექტორის, ახალგაზრდული ჯგუფებისა და მოსახლეობის აქტიური ჩართულობა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში.

მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს, კერძო და სამოქალაქო სექტორს, ახალგაზრდულ ჯგუფებსა და მოსახლეობას, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განახლები პროცესში. ვიმედოვნებთ, რომ დაინტერესებულთა ჩართულობა კიდევ უფრო გაიზრდება და აქტიურად განვაგრძობთ ურთიერთთანამშრომლობას სამოქმედო გეგმის განხორციელებისას და მომდევნო გეგმების დასასახად. ადგილობრივ ეკონომიკურ აქტორებს მოგიწოდებთ მაქსიმალური ჩართულობისკენ, რათა ურთიერთ თანამშრომლობით მივაღწიოთ საერთო მიზანს, გავხადოთ ადიგენის მუნიციპალიტეტი ტურისტულად, სამუშაოდ, საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად მიმზიდველი. ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის, შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, უაღრესად მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორის აქტიური დიალოგი და თანამშრომლობა, პრიორიტეტების და საჭიროებების სწორად გამოკვეთა და ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელების უზრუნველყოფა.

ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობა ჩემი ხელმძღვანელობით მზადაა 2022 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში, ხელი შეუწყოს დაგეგმილი ღონისძიებების ჯეროვნად შესრულებას.

ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული სამოქმედო გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით გამოვთქვამ მზადყოფნას 2022 წლის ადგილობრივი განვითარების გეგმის განახლებასა და გეგმაში გაწერილი აქტიობების შესრულებაზე.

პატივისცემით და შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავების იმედით,

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერი

გოჩა ქიმაძე .....

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ: ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიას

სახელი: ნონა რეხვიაშვილი
თანამდებობა: მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკის განვითარების საკითხებში
მისამართი: დ. ადიგენი თამარმეფის ქუჩა N 5 ტელეფონი: +995 599 41-75-07.
ელ-ფოსტა: nonarexviashvili@yahoo.com
ვებ-ბგვერდი: www.adigeni.gov.ge

1. მოკლე შეჯამება

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LED) წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეთოდოლოგიის საფუძველზე ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების თანაბარი ჩართულობით ჩამოყალიბებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობის მიერ, განახლებულ დოკუმენტს, ეფუძნება 2018 წელს M4EG მეთოდოლოგიის და რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავებულ ადგილობრივ ეკონომიკური განვითარების გეგმას, ითვალისწინებს საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასა/მიდგომებს და მიმართულია კერძო სექტორის ზრდა - განვითარებისკენ.

გეგმის მიზანი, არსებული მდგომარეობის გაანალიზებით, მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი კეთილდღეობის მიღწევის მხარდამჭერი ამოცანების განსაზღვრა და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვაა. მეთოდოლოგიის თანახმად ფოკუსირდება და მიმართულდება მხოლოდ ეკონომიკური მიმართულებებზე, დოკუმენტში ასახულია მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის ეკონომიკური ანალიზი, გამოწვევები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა და მიზნები. მიზნების მისაღწევად ღონისძიებები გაწერილია თანდართულ 1019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში. ასევე გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

გეგმის შემუშავების პროცესში განისაზღვრა ხედვა და მიზნები: ხედვაში განისაზღცრა, ადიგენის მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად ძლიერი, მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურა, გაზრდილი ტურისტული ნაკადები და შექმნილი ბიზნეს საინვეტიციო გარემო. ხოლო მიზნებში:

1. **მუნიციპალიტეტის აგრო სფეროს წარმომადგენლებისთვის ცნობადობის ამაღლება და ბიო პროდუქტების მოსავლიანობის გაზრდაზე ხელშეწყობა;**

2. **ტურისტების ინფორმირებულობა და მიმზიდველი გარემოს შექმნა;**

3. **მუნიციპალიტეტის ცნობიერების ამაღლება.**

გეგმაში გაწერილი მიზნების მისაღწევად დაისახა ისეთი ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა: მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდა, ინვესტორების დაინტერესება და ინვესტიციების მოზიდვა; აგრო სექტორის ინფორმირებულობა აგრო პროექტების განხორციელების თაობაზე; ტურისტულად მიმზიდველი გარემოს შექმნა და ტურისტების ინფორმირებულობა მუნიციპალტეტში არსებული სანახაობების შესახებ (საინფორმაციო დაფა); ფინანსური რესურსების მოძიების ხელშეწყობა.

გეგმა შემუშავებულ იქნა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, სამდივნოს მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, დოკუმენტის შემუშავების პროცესში მოხდა დაინტერესებული მხარეების გამოვლენა და ჩართულობა. წარმოდგენილი საკითხების გარშემო გაიმართა დისკუსიები, გამოითქვა მოსაზრებები და რეკომენდაციები.

გეგმის დამწერი სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა მუნიციპალიტეტში ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან შეხვედრები, სადაც განიხილავდნენ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული პრობლემის მოგვარების საკითხებს. აღნიშნული შეხვედრების მეშვეობით განისაზღვრა პროექტები.

გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ძირითადი ნაწილი სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართულობით საკუთარი ბიუჯეტიდან დაფინანსდება ამასთან ღონისძიებების ნაწილი შესრულდება სახელმწიფოს თანადაფინანსებით ნაწილი კი დაგეგმილია დონორის მოძიების იმედად.

2. სარჩევი

მერის მიმართვა	2
1. მოკლე შეჯამება	4
2. სარჩევი	1
3. ცხრილები, გრაფიკები, და აბრევიატურები	1
4. გეგმის შესავალი	2
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი	3
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი	5
6.1. ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი	5
6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები	9
6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია	10
6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა	11
6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა	12
6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო	12
6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა	13
6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	13
7. SWOT ანალიზი	14
8. ხედვა და მიზნები	15
9. სამოქმედო გეგმა	20
10. დაფინანსების სქემა	22
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები	23

დანართები
დანართ ა. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
დანართი ბ. საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით
დანართი გ. ბიზნეს სექტორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
დანართი დ. მზარდი სექტორები (ქვესექტორები) და მათი გამოწვევები
დანართი ე. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში
დანართი ვ. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები.
დანართი ზ. ბრძანება ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის (LEDP) შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
დანართი თ. LEDP-ის მომზადების პროცესში სამუშაო ჯგუფისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ოქმები.
დანართი ი. კერძო სექტორთან შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა.

3. ცხრილები, გრაფიკები, და აბრევიატურები

3.1. ცხრილები
სამოქმედო გეგმა
დაფინანსების სქემა
მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

3.2 გრაფიკები
გრაფიკი 1. მუნიციპალიტეტში ეკონომიკური საქმიანობების განაწილება სფეროების მიხედვით
გრაფიკი 2. მუნიციპალიტეტში საწარმოთა რეგისტრაციის მონაცემები 2014-2017 წლებში
გრაფიკი 3. მუნიციპალიტეტში მიწის მონაცემები 2016 წლის

3.3. აბრევიატურები
LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა
ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები

4. გეგმის შესავალი

გეგმა წარმოადგენს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განახლებას, რომელიც შემუშავდა 2019 წელის ბოლოს ადიგენის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ევროკაშირის ინიციატივის პირველი ფაზის ფარგლებში ინიციატივის ტექნიკური დახმარებით, მათ მიერ მოწოდებულ მეთოდოლოგიაზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით. გეგმა აღიარებული იქნა სარეკომენდაციო დოკუმენტად აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნების მუნიციპალიტეტებისათვის მსოფლიო ბანკის და ევრო კავშირის ექსპერტების მიერ. რომლის მეშვეობითაც მუნიციპალიტეტს ეძლევა უფლება მიიღოს საგრანტო დაფინანსებაში მონაწილეობა.

2019 წელს სამდივნოს რეკომენდაციებით შემუშავებული გეგმის შესრულება ძალიან დიდ დადებით ზეგავლენას ახდენ მიმდინარე გეგმის შემუშავების პროცესში.

გეგმა შემუშავდა კერძო და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით, ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" სტანდარტების თანახმად ჩამოყალიბებული ადგილობრივი პარტნიორობასთან მჭიდრო კომუნიკაციით, ინიციატივის სამდივნოს მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფის მიერ, თანასწორობის პრინციპით ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების უშუალო ჩართულობით. დოკუმენტი შემუშავების პროცესში მოხდა დაინტერესებულ პირთა გამოვლენა და ჩართულობა. დოკუმენტში ასახულია ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი, SWOT ანალიზი, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვა, ხედვის მისაღწევად დასახული ოთხი მიზანი და მიზნების მისაღწევად 2022 წელს შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებები, რომლებიც თავისთავში ქვე აქტივობებს და ღონისძიებებს მოიცავს. ასევე მოიცავს სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. გეგმა თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის განვითარების დოკუმენტებთან.

გეგმაში გაწერილი ყველა ღონისძიება არის კონკრეტული, დროში გაწერილი, მიღწევადი და გაზომვადი.

გეგმაში გაწერილი ღონისძიებების ასახვა მოხდება ადგილობრივ ბიუჯეტში პროგრამებისა და ქვეპროგრამების სახით.

ადიგენის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება ახალციხის (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ხულოს (აჭარის რეგიონი) და ბაღდათი (იმერეთის რეგიონი) მუნიციაპლიტეტებს, რომლებთანაც დაკავშირებულია შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორია (799,53კვ.კმ) უმეტესად მთაგორიანია და მდებარეობს ზღვის დონიდან 1200-1600 მ-ზე. ადიგენის მუნიციპალიტეტში არის ორი დაბა - დაბა ადიგენი, დაბა აბასთუმანი და 57 სოფელი, აქედან 44 - მაღალმთიან დასახლებათა სტატუსით.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი - დაბა ადიგენი, საქართველოს დედაქალაქიდან დაშორებულია - 220 კმ-ით (ავტომობილით 3 სთ და 30 წუთის სავალი დროით), უახლოესი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან კი - 235 კმ-ით (4 საათი სვალი დროით. ადიგენი 40 წუთის სავალი მანძილით არის დაცილებული რეგიონული ცენტრიდან - ქ. ახალციხიდან (30 კმ) და უახლოესი, ახალციხის რკინიგზის სადგურიდან დაშორებულია 30 კმ-ით (30 კმ). მუნიციპალიტეტის ტერიტოტრიაზე 2019-2022 წლებში დასრულდება ქუთაისი[1]-აბასთუმნის საავტომობილო მაგისტრალის რეკონსტრუქცია-მშენებლობა, რაც ერთმანეთთან უმოკლესი გზით დააკავშირებს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს. ასევე გათვალისწინებულია ახალციხე-ადიგენი-ბათუმის[2] საავტომობილო

[1] საქართველოს სიდიდით მესამე ქალაქი

[2] საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქი

მაგისტრალის რეკონსტრუქცია-მშენებლობა, რომელიც სამხრეთ საქართველოს დააკავშირებს შავ ზღვასთან.
2021 წლის პირველი იანვრის მონაცემებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 16.5 ათასია, მ.შ. ქალები 50,1%. მუნიციპალიტეტის ურბანულ დასახლებებში ცხოვრობს მოსახლეობის 11%. მუნიციპალიტეტის შრომისუნარიანი მოსახლეობა შეადგენს მთელი მოსახლეობის 58,5%-ს. აქედან კაცი 33,3%-ია. 2002 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობამ იკლო 18.5%-ით. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 450-ს. ემიგრაციაში იმყოფება 290 კაცი. ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო მზარდია მიგრაციის ტენდეცია, განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდა, კვალიფიციურ და შრომისუნარიან მუშახელს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან საქართველოს დიდ ქალაქებსა და განვითარებულ ქვეყნებში იქ არსებული მაღალი დასაქმების შესაძლებლობებისა და სათანადო ანაზღაურების გამო. კიდევ ერთი უარყოფითი ტენდენცია მოსახლეობის დაბერებას უკავშირდება. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საშუალო ასაკი 43,5 წელს შეადგენს, აქედან ქალების საშუალო ასაკი 45-ია, ხოლო მამაკაცების 43,4.
გეგმა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებაზეა ფოკუსირებული, ასეთი დოკუმენტი აქამდე არ შემუშავებულა, ამასთან წინა პერიოდში პრიორიტეტული დოკუმენტების შემუშავება ხორციელდებოდა მხოლოდ ადგილობრივი თვითთმართველობების წარმომადგენლების მიერ და დაინტერესებულ პირთათვის მისი გაცნობა სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ხდებოდა. გეგმაში გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. კერძო სექტორთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ჩართულობა გაგრძელდება გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პერიოდშიც.
სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული თითოეული ღონისძიები ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება შემდეგნაირად: პირველი ღონისძიებას აფინანსებს 11-%-ით, მეორე ღონისძიებას აფინანსებს 11 %-ით, მესამე ღონისძიებას აფინანსებს 100-%-ით, მეოთხე ღონისძიებას აფინანსებს 5-%-ით, მეხუთე ღონისძიებას აფინანსებს 10-%-ით, მეექვსე ღონისძიებას 100%-ით და მეშვიდე ღონისძიებას აფინანსებს 25 %-ით. (სამოქმედო გეგმის ღონისძიებებზე გაწერილი მთლიანი თანხის 6%). რეგიონალრი განვითარების ფონდიდან ფინანსდება პირველი ღონისძიება 89%-ით და მეორე ღონისძიება 89%-ით,(სამოქმედო გეგმის ღონისძიებებზე გაწერილი მთლიანი თანხის 23%) ხოლო დანარჩენი ღონისძიებები დაგეგმილია დონორის მოძიების იმედად.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

გეგმა წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების დოკუმენტის განახლებას.
გეგმის შემუშავება მოხდა მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებული საჯარო, კერძო და სამოქალაქო პარტნიორობის აქტიური ჩართულობით ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები მერი მოადგილეები და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები.
2018 წლის 14 ნოემბერს N2550 09 ბრძანებით დაინიშნა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცერი (რომელიც ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ახდენდა კომუნიკაციას კერძო სექტორის წარმომადგენლებთან) და შეიქმნა უშუალოდ გეგმის შემმუშავებელი ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: ერთი წარმომადგენელი კერძო სექტორიდან, ერთი წარმომადგენელი სამოქალაქო სექტორიდან და ორი წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის მერიიდან.
საჭიროებიდან გამომდინარე შეიქმნა მეორე ჯგუფი 2018 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით რომელიც შედგებოდა 17 წევრისგან, ამ შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც საზოგადოების ასევე კერძო სექტორის, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები

(თემატიკა არ გვთხოვდა ეს უბრალოდ ჩვენი საქმის გასაიოლებლად გავაკეთეთ). ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ შეხვედრებზე რომლებიც ფიქსირდებოდა ოქმით და შემდგომ შეგროვებულ მასალას იყენებდა გეგმის დამწერი ჯგუფი.

პირველი შეხვედრა 2018 წლის 14 დეკემბერს გაიმართა მინერალური წყალი ფლატის წარმომადგენელთან (თანამშრომელი) და საოჯახო სასტუმროების წარმომადგენლებთან, ფლატის წარმომადგენელმა ისაუბრა ძირითადად თავისი საწარმოს გაფართოებაზე და გრანტის მოძიების პრობლემაზე (დაფინანსების მოძიებაზე). საოჯახო სასტუმროების მთავარი პრობლემას წარმოადგენდა ფინანსური სახსრების სიმწირე და დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრები.

2022 წლის 10 იანვარს შედგა პირველი შეხვედრა აგრო სექტორის წარმომადგენლებთან, სადაც მწვავე პრობლემად დასახელდა აგრო სექტორის და საოჯახო ფერმერების წარმომადგენლების მიერ წარმოებული პროდუქციის ბარებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. რომელთა განმარტებით წარმოებული პროდუქციის დროულად და ხარისხიანად გადაადგილება არ ხდება და შესაბამისად მოგების ნაცვლად იღებენ ზარალს. დასმული იქნა საკითხი აგრო პროექტების განხორციელების თაობაზე, ადგილობრივი წარმომადგენლები განმართავდნენ, რომ ვერ იღებდნენ დროულად ინფორმაციას პროექტებში მონაწილეობის თაობაზე და შესაბამისად ვეღარ იღებდნენ დაფინანსებებს.

მეორე შეხვედრა გაიმართა 2022 წლის თებერვლის თვეში და შეხვედრაში მონაწილეობას იღებდენ როგორც კერძო ასევე სამოქალაქო სექტორი, მათი განმარტებითესაჭიროებათ მოსავლიანობის გაზრდა, არ ხდება 8 დასახლებულ პუნქტში ნაკვეთების გასარწყავიანება და შსაბამისად ვერ იღებენ უხვ პროდუქტს. ნათესების ფართობი შეადგენს დაახლოებით 150-250 ჰექტრამდე.

მესამე შეხვედრა შედგა 2022 წლის 17 იანვარს თვეში ახალგაზრდულ ჯგუფებთან, სადაც პრობლემად დასახელდა მუნიციპალიტეტში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის არ არსებობა და ასევე დაისვა საკითხი საინფორმაციო დაფის შექმნასთან დაკავშირებით სადაც ტურისტები მოახდენენ მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული სანახაობების შესახებ ინფორმაციას, ასევე იმსჯელეს მუნიციპალიტეტში არსებული ოქროს ციხის რეაბილიტაციის საკითხზე, რომელის რეაბილიტაციაც გამოიწვევს ტურისტების დაინტერესებას და ნაკადების ზრდას. ახალგაზრდების ინიციატივით შეხვედრაზე განხილულ იქნა წარმოებული პროდუქციის გამოფენა გაყიდვის საკითხები, როგორც აგრო სექტორის მიერ წარმოებული პროდუქტების ასევე ახალგაზრდების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთების.

2022 წლის 24 იანვარს სამუშაო ჯგუფის წევრებთან გაიმართა შეხვედრა და ხმათა უმრავლესობით მიიღეს შემდეგი სახის პრობლემატური საკითხები: მუნიციპალიტეტის ცნობადობის ნაკლებობა და საერთაშორისო პარტნიორების სიმცირე; არასათანადოდ განვითარებული ბიზნეს ინფრასტრუქტურა; ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; აგრო სექტორის წარმომადგენლების ნაკლები ინფორმირებულობა პროექტების დაფინანსების თაობაზე; არასაკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა; მეწარმეების ბაზრებზე ხელმისაწვდომობის სიმცირე; ტურისტული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზით ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა და საინფორმაციო დაფის გაკეთება მუნიციპალკიტეტში არსებული სანახაობების შესახებ.

შემდეგი შეხვედრა გაიმართა 2019 წლის 27 იანვარს სამუშაო ჯგუფმა განიხილა მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა შემუშავდა SWOT ანალიზის საბოლოო ვერსია, შემუშავდა ხედვა და მიზნები.

2019 წლის 11 იანვრის შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფმა მოახდინა ქმედებების შეჯამება და ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სამოქმედო გეგმაში გაწერილი ქმედებების შესახებ:

1. აგრო სექტორის მიერ წარმოებული პროდუქციის ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა;

2.მუნიციპალიტეტის მაშტაბით შეხვედრების ჩატარება აგრალური სფეროს წარმომადგენლებისთვის პროექტების დაფინანსების მიღების თაობაზე;
3. მოსავლიანობის გაზრდის ხელშეწყობა (8 რვა დასახლებულ პუნქტში 150-200 გექტარი მიწის გასარწყავიანება);
4. ტურისტებისთვის ცნობიერების ამაღლება, ტურისტული საინფორმაციო ცენტრის აშენება;
5.ტურისტებისთვის ცნობადობის ამაღლება, საინფორმაციო დაფის გაკეთება, მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული სანახაობების შესახებ;
6. მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ყოველწლიური ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულის მოწყობა;
7. ტურისტების დაინტერესება, ოქროს ციხის რეაბილიტაცია მშენებლობა.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი

ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით. აქედან ბრუნვისა და შემოსავლების გათვალისწინებით ყველაზე იმედისმომცემ და განვითარებად მიმართულებესად სოფლის მეურნეობის სექტორები მიიჩნევა.
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2021 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 265 რეგისტრირებული საწარმო. ზომის მიხედვით ყველა მცირე საწარმოდ კლასიფიცირდება.

გრაფიკი N1 მუნიციპალიტეტში ეკონომიკური საქმიანობების განაწილება



გრაფიკი N2. მუნიციპალიტეტში საწარმოთა საქმიანობის სფეროების მიხედვით



2014 წელთან შედარებით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 92,2%-ითაა გაზრდილი. საწარმოების ზრდას ხელი შეუწყო ბოლო 4 წლის განმავლობაში ამოქმედებულმა ბიზნესის ხელშემწყობმა სახელმწიფო პროგრამებმა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდა 28 მცირე ბიზნესი გადამამუშავებელი

მრეწველობის, ვაჭრობა და მომსახურების სფეროებსა და სოფლის მეურნეობის დარგში, სახელმწიფო აფინანსებს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში სხვადასხვა პროექტებს.

ადიგენის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის კურორტი აბასთუმანი, რომელიც ცნობილია როგორც კლიმატურბალნეოლოგიური კურორტი, რომლის კლიმატი საუკეთესო საშუალებაა ფილტვების დაავადებათა პროფილაქტიკისათვის. განსაკუთრებით სასარგებლოა გაზაფხულის სეზონი, როდესაც ფიჭვი დამტვერვას იწყებს. აბასთუმანი განთქმულია ჰიპერთერმული, სუსტად მინერალიზებული წყაროებით (წყარო ზმეა 39^{0}C, მეფის წყარო - 42^{0}C; სურავანდი წყარო 42^{0}C), რომლთა საერთო დებეტია 1 მლნ ლიტრი დღე-ღამეში. მინერალური წყლები არაერთი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. კურორტ აბასთუმნის ტერიტორიაზე 2020 წლის მონაცემებით წინა წლებთან შედარებით ნაკლები ტურისტი იყო covid პანდემიიდან გამომდინარე, მათი რაოდენობა დაახლოებით შეადგენდა 12000 მდე როგორც ადგილობრივს ასევე უცხოელ ტურისტს, ხოლო 2021 წლისთვის 15000-ამდე გაიზარდა. აბასთუმანში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ საგრძნობლად გაიზრდება ტურისტული ნაკადები, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია მთა ყანობილზე. ზ. დ. 1650 მ, აბასთუმნიდან 8 კმ-ში. დაარსდა 1932 წელს. ის პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ასტროფიზიკური ობსევატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები რაც გამოიწვევს ტურისტების დაინტერესებას და ნაკადების ზრდას.

მუნიციპალიტეტი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივ-ეთნოგრაფიული ძეგლების მრავალფეროვნებითა და სიმრავლით, ადიგენის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსით. წყლის მთლიანი რესურსი წარმოდგენილია ტბებით, წყალსაცავებით, მდინარეებითა და მიწისქვეშა გრუნტის წყლებით.

დაბა აბასთუმანში არის ბუნებრივი გოგირდოვანი თბილი წყლების დიდი მარაგი, ასევე მუნიციპალიტეტში მოიპოვება მინერალური წყალი „ფლატე“, რომლის ექსპორტირებაც ხდება საზღვარგარეთ. სასარგებლო წიაღისეულიდან მნიშვნელოვანია ფლატის, ღაღვის მინერალური წყლები, აბასთუმნის და ჩორჩნის თერმული წყლები. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ კახარეთში ფუნქციონირებს „კახარეთჰესი“ რომელიც გამოიმუშავებს 2-მეგავატ ელექტროენერგიას., მდინარე ძინძეს ხეობაში, გოდერძის უღელტეხილის აღმოსავლეთ კალთაზე, მდებარეობს მესამეული პერიოდის განამარხი ფლორა რომელიც „გოდერძის ფლორის“ ე.წ გაქვავებული ტყის სახელითაა ცნობილი. ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 88 ისტორიული ძეგლია აღრიცხული. მათ შორისაა მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები, მეჩეთები, ციხე-კოშკები, ასევე რამდენიმე ხიდი.

მუნიციპალიტეტში ძალიან დიდი რესურსი არსებობს ტყის არა მერქნული პროდუქტების (ხილი, კენკრა, სამკურნალო მცენარეები), საჭიროა მისი დამზადების და გადამუშავების ორგანიზება რაც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და მოსახლეობას გაუჩენს დამატებით შემოსავალს.

მუნიციპალიტეტი მდიდარია მინერალური რესურსით, მუნიციპალიტეტში არის თიხა და ბაზალტი, თიხის მოპოვება ფაქტობრივად არ ხდება ხოლო ბაზალტის მოპოვება ხდება მცირე რაოდენობით, გეოლოგიური კვლევებისა და დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ დადგენილია კერძოდ მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთ ფერსათის მთისა და კურცხანის ხეობაში ფერადი და იშვიათი ლითონების არსებობა. მრავლადაა გამოვლენილი

საშენი ფიქლების საბადოები როგორც ალპურ და სუბ-ალპურ ასევე მდინარე ქვაბლიანის ხეობის მიდამოებში.
მუნიციპალიტეტში განთავსებულია ვაჭრობასა და ტექნიკურ მომსახურებაზე ორიენტირებული 156 მცირე ბიზნესი. ყველაზე დიდი დამსაქმებელია საგზაო-სამშენებლო კომპანია შპს „არალი" რომელშიც დასაქმებულია 110 მდე კაცი. სამედიცინო მომსახურებას ეწევა 23 დაწესებულება - აქედან, ერთი საავადმყოფო, (რომელშიც დასაქმებულია 50 კაცი). 1 პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრი, (დასაქმებულია 18 კაცი). 12 სასოფლო ამბულატორია დასაქმებულია 12 კაცი), 3 სტომატოლოგიური კლინიკა (დასაქმებულია 5 კაცი) და 6 აფთიაქი (დასაქმებულია 6 კაცი).
ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმება სახელმწიფო პროგრამის ფაგლებში, რომელიც გულისხმობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმებას, აღნიშნული პროგრამა 4 წელს მოიცავს, სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს უნარჩუნდებათ სოციალური დახმარების სარგო სახელფასო ანაზღაურებასთან ერთად.
მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ბში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენს 165 ბენეფიციარს. აღნიშნული პროექტი დადებითად ისახება მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობაზე და მუნიციპალიტეტში უმუშევართა დონის კლებაზე.
ნარჩენების შეგროვება - მართვა-ორგანიზებას უწევს ერთ მუნიციპალური ა(ა)იპ-ი და 2 ჯართის შემგროვებელი ობიექტი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა- 2 საწარმო, უძრავი ქონების იჯარით დაკავებულია 14 ბიზნესი, საშენი მასალების მომპოვებელი მრწეწველობა და მშენებლობაში 20 საწარმო.
სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 6 მცირე საწარმოთი (დასაქმებულია 70) და 650 საოჯახო ფერმერით, მათ შორის 40 მეფუტკრით (ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებულია 40), 28 კოოპერატივით. ფერმერული მეურნეობების ძირითადი ნაწილი რეგისტრირებული არ არიან. 2025 წლის პირველ იანვრამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მწარმოებლები გათავისუფლებული არიან დასაბეგრი შემოსავლიდან, აღნიშნული არ ავალდებულებთ, პირველადი პროდუქციის მწარმოებლებს რეგისტრაცია გაუკეთონ თავიანთ საქმიანობას. მეფუტკრეების თქმით სერთიფიკატების მიუხედავად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას ვერ ახდენენ.
მუნიციპალიტეტში შედარებით კარგად არის განვითარებული მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა და მესაქონლეობა.
2020 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობია 33246 ჰა, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 3914ჰა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 1 ჰა. დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შემდეგნაირადა არის განაწილებული: ხეხილი 997 ჰა, სახნავი 5652 ჰა, სათიბი 4322ჰა, საძოვარი 22275 ჰა რომელიც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს.
უკანასკნელ წლებში მუნიციპალიტეტში დაიწყო ხეხილის ბაღების გაშენება (ვაშლი, ქლიავი, ბალი, მსხალი). მუნიციპალიტეტი მდიდარია კენკროვანი კულტურებით რომელიც ძირითადად გავრცელებულია ალპურ და სუბალპურ ზონებში. რომლებსაც მთელი სეზონის განმავლობაში მოსახლეობა იყენებს საოჯახო მოხმარებისა და ბიზნესისთვის (ჟოლო, მოცვი, მალინა, მარწყვი).



მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის საკუთრებაშია 23025-მდე მსხვილფეხა პირუტყვი, მათ შორის ფური 13410. 2,322-მდე ღორი, 700 თხა და ცხვარი და 29305 ფრთა ფრინველი. წარმოებული ყველის, სულგუნის და კვერცხის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ, რეგიონის და დედაქალაქის ბაზარზე.

მუნიციპალიტეტში მოქმედებენ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის კერძო კოოპერატივები, რომელთა მიერ წარმოებული ხორცი აკმაყოფილებს ადგილობრივ ბაზარს.

მეფუტკრეობა და ადგილობრივი თაფლი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ღირებულებათა ჯაჭვის მნიშვნელოვან ნაწილს ქმნის. წარმოდგენილია 30 ფერმერით. 2017 წლისათვის მათ საკუთრება იყო 1500 სკა ფუტკარი და წარმოებული იქნა 10-15 ტ. თაფლი. ხოლო 2018 წლისათვის ამ მაჩვენებელმა შეადგინა 3000 სკა და წარმოებული იქნა 30-35 ტ თაფლი. დარგის განვითარებას ხელი შეუწყო ადიგენის კლიმატური პირობები და ლანდშაფტი უზრუნველყოფს თაფლის უნიკალურობას, თუმცა პროდუქციის რეალიზება გარკვეული დაბრკოლებებით ხდება, მუნიციპალიტეტში დარგის ვეტერინარის არ არსებობა ართულებს დაავადებებთან ბრძოლას და იწვევს სავალალო შედეგებს.

სოფლის მეურნეობის დარგში წარმოების ზრდას აფერხებს სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე და აგროტექნიკაზე ნაკლებად ხელმისაწვდომობა ასევე დარგის პეციალისტების სიმცირე. მნიშველოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ახალი დაავადებებების და მავნებლების გავრცელება.

მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის მოცულობას მნიშვნელოვანი წილი უკავია რეგიონის მთლიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ეს განსაკუთრებით ეხება კარტოფილის, ხილის, ბოსტნეულის, მარცვლეულის, ხორცისა და ყველის წარმოებას. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მათი რაოდენობა საკმარისია მოთხოვნასთან შედარებით და წარმოებული პროდუქცია აბალანსებს მუნიციპალიტეტის ბაზრის მოთხოვნებს, რაც შეეხება კარტოფილისა და ყველის წარმოების მასშტაბებს, ისინი ძირითადად გააქვთ ქვეყნის შიდა ბაზარზე.

მრეწველობის დარგში მოქმედი 32 მცირე საწარმოა და 1 საშუალო საგზაო-სამშენებლო კომპანია შპს „არალი", ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმო და უალკოჰოლო სასმელების ჩამომსხმელი საწარმო, პურის საწარმო, რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო.

ფლატის მინერალური წყალი რეალიზდება როგორც შიდა ბაზარზე ასევე მისი გატანა ხდება ექსპორტზე.

სასაქონლო კოოპერატივებს აქვთ მიწების პრივატიზების პრობლემა კერზოდ სახელმწიფო საკუთრებასი არსებული მიწის ნაკვეთების პრივატიზებაზე არის დიდი ფასი რომლის შეძენასაც ფერმერები ვერ ახერხებენ, ასევე აქვთ ალპურ ზონაში გზის ინფრასტრუქტურის პრობლემა აღნიშნული პრობლემის გამო რთულდება რძის ტრანსპორტირება. ასევე დიდ პრობლემეს აწყდებიან პირუტყვის ჯიშების გამოყვანასთან დაკავშირებით, ასევე არსებობს წარმოებული პროდუქციის ეტიკეტირების პრობლემა. აგრო ფერმერებისთვის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო საძოვრების იჯარით გასხვისების საკითხი.

2017-2019 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი მოდის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე (6.5 მლნ ლარი) და სოფლის მეურნეობის მიმართულებაზე (3.24 მლნ. ლარი).
მუნიციპალიტის საინვესტიციო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ბალნეოლოგიური კურორტი აბასთუმანი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწა (915 ჰა) და შენობა ნაგებობა (17 ერთეული) სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების განხორციელების საშუალებას იძლევა.
2019 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორში კერძოდ სოფლის მეურნეობის, წლიური ბრუნვა შეადგენდა 21,7 მილიონ ლარს, რაც 4,9 მილიონი ლარით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს ხოლო 2017 წლის ბრუნვა წინა წელთან შედარებით ნაკლებია 0,6 მილიონი ლარით. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ოდენობა 2017-2018 წელს შეადგენდა 650-ს. ბოლო ორი წლის განმავლობაში მზარდ სექტორად ფიქსირდება აგრალური სექტორი. ადგილობრივი ღირებულების დარიცხვის ჯაჭვში ყველაზე მეტად აგრალური სექტორი მონაწილეობს. აგრალური სექტორი კერძოდ რძის გადამამუშავებელი ქარხნები ეყრდნობიან ადგილობრივ მომწოდებლებს. ადიგენის მუნიციპალიტეტში ყველაზე წარმატებული მცირე საწარმოა კოოპერატივი „რკ ენდეთ ერთობის ნობათს'', კოოპერატივის წლიური რძის წარმოება შეადგენს 150-200 ტ, ხოლო მისი წლიური ბრუნვაა შეადგენს 150-200 ათას ლარს. რძის გადამამუშავებელი საწარმოები ითვისებენ როგორც მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არსებულ ნედლეულს (რძის სახით), ასევე მარაგდებიან სხვა სხვა მუნიციპალიტეტებიდან. რეგიონში უნიკალური პროდუქტის მწარმოებლად ითვლება მინერალური „წყალი ფლატის“ ჩამომსხმელი საწარმო „ქართული წყლები და კომპანია“.
ვინაიდან ადგილობრივ შრომის ბაზარზე დაბალია შრომის ანაზღაურება (2018 წ დაქირავებულთა შრომის ანაზღაურების საშუალო ოდენობა შეადგენდა 500 ლარს), მუნიციპალიტედიდან შრომის უნარიანი და კვალიფიციური კადრები გადინებულია მეზობელ მუნიციპალიტეტებში, რეგიონის ცენტრში და მსხვილ ურბანულ ქალაქებში.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები

მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სტრუქტურული მექანიზმი, საკონსულტაციო სამსახურის სახით, ბიზნესის წარმომადგენლები ერთმანეთისთვის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას საკონსულტაციო სამსახურის მეშვეობით. სოფლის მეურნეობაში არსებობს გარკვეული სტრუქტურირებული თანამშრომლობის გამოცდილება, რაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობაში გამოიხატება. კოოპერატივების ჩამოყალიბებასა და შექმნაში აქტიურ კონსულტაციებს იძლევა საკონსულტაციო სამსახური. დაახლოებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, სახელმწიფო ინიციატივებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით აქტიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა და მსგავსი ტიპის თანამშრომლობის წახალისება. სახელმწიფო პროგრამები და საერთაშორისო ორგანიზაციები ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს არა მხოლოდ ფინანსურ გაძლიერებაში, არამედ კვალიფიკაციის ამაღლებაში ერთობლივი ტრენინგებისა და სწავლებების გზით. შესაბამისად, იქმნება ერთგვარი პლათფორმა, სადაც სხვადასხვა კოოპერატივების წარმომადგენლებს ეძლევათ ერთმანეთთან საუბრისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა. ამჟამად, მუნიციპალიტეტში 31 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მოქმედებს. აქედან 6 მა კოოპერატივა შეიძინა რძის გადამამაუშავებელი საწარმო სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანადაფინანსებით, რაც შეეხება თანამშრომლობას ბიზნეს კომპანიებსა

და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას შორის არსებობს ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება. ხშირია მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით ბიზნესის წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის შეხვედრები. თუმცა ბიზნესისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების განცხადებით აღნიშნული შეხვედრები საკმარისს არ წარმოადგენს და მათი განმარტებით ინფორმირებულობა უნდა მოხდეს პროექტის დაწყებიდან გარკვეული პერიოდით ადრე.
მუნიციპალიტეტში შექმნილია მერის მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება 11 წევრისგან, საბჭო განიხილავს პრობლემატურ საკითხებს მუნიციპალიტეტის საერთო ინტერესების დაცვით, თანმაშრომლობას აქვს მუდმივი ხასიათი. ასევე შექმნილია მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო რომელიც შედგება 21 წევრისგან, საბჭო განიხილავს გენდერულ პრობლემატურ საკითხებს მუნიციპალიტეტში გენდერული ინტერესების დაცვით, თანმაშრომლობას აქვს მუდმივი ხასიათი, შექმნილია ახალგაზრდული საბჭო რომელიც შედგება 25 წევრისგან, განიხილავენ ახალგაზრდულ საკითხებს და ქმნიან შემეცნებითი ხასიათის დადგმებსა და სკეჩებს. მუნიციპალიტეტში შექმნილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსუ-ლტაცი ცენტრი, რომლის თანამშრომლობა აგრო სექტორთან გარკვეულ წილად ჩამოყალიბებულია, შექმნილია კოოპერატივებიც, თანამშრომლობას უფრო სპეციალური ხასიათი აქვს, საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის და სარგებლის მიღების მიზნით საკონსულტაციო ცენტრი დროდადრო ხვდება მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს გასცემს და აგროვებს ინფორმაციას მიმდინარე პროექტებზე და პროექტებში ჩართულობაზე თუმცა მოსახლეობის განმარტებით აღნიშნული საკმარის არ წარმოადგენს.
ბიზნეს სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებებთან შეხვედრებისას მერი თავის გამოსვლებში მუდმივ მზადყოფნას აცხადებს კერძო და საჯარო თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე, ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე, რომელიც ხელს შუწყობს კერძო სექტორის წარმომადგენლების კვალიფიკაციის ზრდას, მუნიციპალიტეტის იმიჯის ამაღლებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ფინანსური წყაროების მოზიდვას.
თანამშრომლობის გაუმჯობესება, მეგობრულ პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება დაარღვევს ბიზნესის არსებულ კარჩაკატილობას და ერთობლივი ქმედებებით ხელს შეუწყობს ადგილობრივი კერძო სექტორის ზრდას.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია

მუნიციპალიტეტში მერიაში საქმისწარმოება ხორციელდება „ერთი ფანჯრის„ პრინციპით, ფოსტით თუ ხელზე შეტანილი დოკუმენტი რეგისტრირდება მერიის სქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, შემცირებულია დოკუმენტბრუნვის დრო. ელექტრონული საქმიასწარმოების სისტემით მუნიციპალიტეტი უკავშირდება ყველა სამთავრობო ორგანოზაციას და სხვა საჯარო დაწესებულებებს. მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია ახდენს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას. მოქმედებს მერიის ვეგ-გვერდი და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საინფორმაციო სამსახური, რომლებიც ძირითადად ადგილობრი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს აშუქებენ. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური ბიზნეს სექტორთან ურთიერთობს მომართვის შემთხვევაში, გასცემს ინფორმაციასა და უწევს კონსულტაციებს ბიზნესის წარმომადგენლებს.
განსაკუთრებით დამწყებ მეწარმეებს, უმეტეს შემთხვევაში უძნელდებათ არსებულ საკანონმდებლო ნორმებსა და რეგულაციებზე ინფორმაციის მოძიება.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის განვითარებას სხვადასხვა დარგების მიხედვით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საქმიანობები სპონტანური ხასიათისაა, არ არის მოქცეული სისტემაში და არ ეყრდნობა რაიმე სახის სტრატეგიულ დოკუმენტს.
ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება აიტვირთება სააგენტოს ვებ გვერზე. სააგენტოს დავების განხილვის საბჭო განიხილავს ყველა შესულ საჩივარს, 2012 წლიდან მოყოლებული მუნიციპალიტეტის ტენდერებთან დაკავშირებით შესული 11 საჩივარიდან დადებითად დაკმაყოფიდა მხოლოდ 2. სამართლებრივი დავა არცერთ საქმეზე არ დაწყებულა.
მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალუ ვებ გვერდზე. ელექტონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.
მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები ღიაა მოქალაქეებისთვის და მათ შეუძლიათ წარმოადგინონ შენიშვნები და ინიციატივები. თუმცა ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან საკრებულოსადმი მიმართვების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. მერიის ვებ გვერდი და საინფორმაციო ცენტრი რომლებიც აქტიურად აშუქებს ადგილობრივ სიახლეებს და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მუშაობას, მუნიციპალიტეტში განიხილება საკითხი შემუშავდეს ბიზნეს ხელშემწყობი პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდას და ინვესტორების დაინტერესებას, შეირჩეს კერძო სექტორთან თანამშრომლობის და ურთიერთობის ფორმები, გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და ინფორმირებულობა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებზე. მერიაში არსებულ სოციალური და ჯანდაცვის პაკეტებთან დაკავშირებით ინფორმაცია განთავსებულია მერიის როგორც ვებ გვერძე ასევე facebook გვერძე, ასევე ხდებაგანთავსება მუნიციპალიტეტში არსებული სხვა ინოვაციური საკითხების.

6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა

ბიზნესის განვითარებისთვის არსებული ფინანსური რესურსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინტერნეტ რესურსების მეშვეობით, ამასთან, მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია სტრუქტურული ერთეული, რომლიც ყოველდღიურ რეჟიმში აწვდის დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობის შესახებ და ფაქტობრივად ახორციელებს რეფერალურ სერვისს. თუმცა არასაკმარისად. მიუხედავად სახელმწიფო პროგრამების შესახებ და მათ ვებ გვერდზე გამოქვეყნებისა განთავსებული მონაცემები არ არის საკმარის და საჭიროებს დაზუსტებებს. სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის პროცედურები ბიუროკრატიულია, ხშირ შემთხვევაში დროში იწელება და კერძო სექტორი არჩევს საკუთარი შეზღუდული რესურსებით განხორციელოს დაწყებული საქმე. ამასათან, ბიზნეს კომპანიების უმეტესობას ინტერნეტ რესურსებთან წვდომა არ აქვთ და საჭიროებენ ინფორმაციის დიალოგის რეჟიმში მიწოდებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემს სესხებს მცირე ბიზნეს კომპანიებისა და აგროსექტორისთვის 20 000 (7500 ევრომდე) ლარამდე ყოველგვარი გირაოს გარეშე. მოთხოვნა მეტი ოდენობის

სესხებზე იზრდება და ბიზნეს კომპანიები სირთულეებს აწყდებიან სესხებისათვის საჭირო გირაოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით.ამასთან მსხვილი სესხების გაცემა განიხილება ბანკების რეგიონალურ და სათაო ოფისებში. ბანკები სესხებს გასცემენ როგორც ძირითადი საშუალებების შესაძენად ასევე საოპერაციო ხარჯებისა და საბრუნავი საშუალებებისთვის. ბიზნეს მძიმე ტვირთად აწვება სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ბანკები სესხებს არ გასცემენ სტარტაპარებისთვის, ბიზნეს კომპანიებს უნდა ქონდეთ მინიმუმ 6 თვიანი ბრუნვა.
სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედ პროექტებში დაფინანსების პროცესები ხშირად ჭიანურდება და მეწარმეები აგრო ვადებში ვეღარ ეტევიან;

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

ბოლო წლებში ბიზნესის განვითარების ტენდენციის პარალელურად იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. მერიის ეკონომიკის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწების იდენტიფიცირებას, დაურეგისტრირებელი მიწების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, საკუთრებაში არსებულის შენობება-ნაგებობების ინვენტარიზაციას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულია 12 ჰა არასასოფლო დანიშნულების მიწა და მასზე გაშენებული 104 ერთეული შენობა-ნაგებობა.
მუნიციპალიტეტს აქვს ქონებები რომელიც გაცემულია იჯარით (10 ობიექტი), მაგრამ მოთხოვნა უფრო დიდია. საოფისე ფართები ძირითადად კერძო საკუთრებაშია, მაგრამ ფასები იმდენად მაღალია, ბიზნეს კომპანიებს არ აქვთ სახსრები იქირაონ ეს ფართები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური და სახელმწიფო ქონებები ძირითადად ამორტიზირებულია, ამასთან უმეტესი ნაწილს არასტრატეგილი მდებარეობა აქვს საოფისე, სავაჭრო ფართებისთვის.
დროში იწელება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, მიწისა და ინფრასტრუქტორის პრივატიზებითა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურები, რაც გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნის კერძო ბიზნეს.
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი ქონებებიც (17 ერთეული შენობა-ნაგებობა, 915 სახნავი და საძოვარი 21000 ჰა მიწა), დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში გარკვეული ქონებების გადმოცემა ხდება მუნიციპალიტეტზე, თუმცა აღნიშნული იწელება დროში, ზოგ შემთხვევაში მოთხოვნილი ქონების გადმოცემა შეიძლება გაიწელოს 1 წლის მანძილზე. უმთავრეს პრომლემად მიიჩნევა მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის საკითხი.
აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუნიციპალიეტი მცირემიწიანია და არსებული სასოფლო-სამეურენეო დანიშნულების მიწები დაბალმოსავლიანია ზოგიერთი კულტურისთვის. მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 340 კვ.კმ. ადიგენის ტერიტორიის 51% ტყით არის დაფარული.
აგროსექტორის განვითარებისა, მიწების რაციონალურად გამოყენებისთვის და კულტურების სწორად შესარჩევად მნიშვნელოვანია ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ჩატარება.

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო

ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მიუხედავად იმისა, გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერები მოხსნილია მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს რიგი

რეგულაციები. ყველაზე დიდი პრობლემაა მშენებლობის ნებართვის მისაღებად ყველა პროცედურის გავლა. ამ სფეროში არ არსებობს კოორდინაცია უწყებებს შორის და სხვადასხვა უწყება ითხოვს ერთი და იგივე ინფორმაციის წარდგენას. თითოეულ ცალკეულ დამტკიცებას დრო სჭირდება და მშენებლობის ნებართვაზე განაცხადების განხილვა არ ხდება ერთდროულად ყველა პასუხისმგებელი უწყების მიერ, ხოლო მომდევნო უწყება ელოდება წინა უწყების განხილვის შედეგს. ამასთან გარკვეული დაბრკოლობებით მიმდინარეობს მიწისა და ქონების რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და გაცემა.
მუნიციპალიტეტში შემუშავებული არ არის სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარების პროგრამები და სტრატეგიები, შესამუშავებელი და დასამტკიცებელია მარკეტინგული სტრატეგია.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

საგანმანათლებლო სისტემა არ პასუხობს ბიზნეს სექტორის რეალურ საჭიროებებს. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პირობებში მოთხოვნა მომსახურე პერსონალზე და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე დიდია. მოთხოვნადია აგრეთვე უცხო ენების მცოდნე გიდები, ვეტერინარები, ფინანსისტები, იურისტები და სხვა კადრები.
კერძო სექტორში დასაქმების მაძიებლები რეგისტრირდებიან სხვადასხვა ელექტრონულ დასაქმების სააგენტოებში, ასეთია www.worknet.gov.ge, https://www.hr.gov.ge/ რომელზეც მუნიციპალიტეტიდან რეგისტრირებულია 300-ზე მეტი პირი, მათ შორის არიან უკეთესი სამუშაო პირობების მაძიებელნიც.
შიდა მუნიციპალური დასაქმების სააგენტო არ არსებობს, დასაქმების მსურველები პირადი კონტაქტებით ან ინტერნეტრესურსებით იძიებენ ვაკანსიებს.
ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებს შემთხვევითი ხასიათი აქვს და არ არსებობს კოორდინაცია მუნიციპალიტეტს, ბიზნეს სექტორს და საგანმანათლებლო ორგანიზაციებს შორის. ამასთან ზოგიერთი ბიზნეს კომპანია უზრუნველყოფს სწავლებას მხოლოდ მათი საჭიროებების მიხედვით, მაგრამ მას არ აქვს ორგანიზებული ხასიათი, ეს არ არის შეთანხმებული ამავე სექტრორში მომუშავე სხვა კომპანიებთან.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

მუნიციპალიტეტი მიმზიდველ ადგილად ითვლება ტურისტული და ინვესტირების თვალსაზრისით. რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. ადგილმდებარეობის ფაქტორი მნიშვნელოვანია არსებული ბიზნესის გაფართოებისა და ახალი ბიზნეს კომპანიების მოზიდვისთვის.
საკურორტო ზონაში კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ სასტუმროების მოდერნიზაციასთან და გახსნასთან ერთად დასასვენებელი პარკები, საფეხმავლო ბილიკები, საცურაო აუზი თერმული წყლით (რომლითაც წლის ნებისმიერ დროს სარგებლობენ), სხვადასხვა ტურისტული მომსახურების ობიექტები.
სოფლის მეურნეობის წამომადგენლები მუდმივად იღებენ მონაწილეობას ყველისა და ადგილობრივი პროდუქციის ფესტივალებში. ბოლო 4 წლის განმავლობაში გაიხსნა საოჯახო სასტუმროები და კვების ობიექტები რომლებიც ძირითადად კურორტ აბასთუმანის ტერიტორიაზეა განთავსებული.
მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია და ტურიზმის სპეციალისტები მუშაობენ მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ადგილობრივი

თვითთმმართველობის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში და ფესტივალებში.
მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისფლების ძალისხმევამ ადიგენის ტურისტულ ადგილად პოპულარიზაციის მიმართულებით, სხვადასხვა სარეკლამო კამპანიებმა, ქვეყანაში ტურისტების ზრდის ტენდენციამ განაპირობა ტურისტების ნაკადის ეტაპობრივი ზრდა ქვეყნის სხვა რაიონებიდან და საზღვარგარეთიდან, რაც COVID 19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე ბოლო 2 წლის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა, ფაქტობრივად ნულამდე იქნა დაყვანილი გაყიდვები ტურიზმის და მეღვინეობის სექტორში.
მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყფილება მუშაობს მუნიციპალიტეტის ცნობიერების ამაღლებაზე, ტურისტული საინფორმაციო დაფის შექმნაზე, და ტურისტული ობიექტების Googl რუკაზე განთავსებაზე.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. ხელსაყრელი მდებარეობა და კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობისთვის; 2.სოფლის მეურნეობის დარგების მრავალფეროვნება; 3. ბუნებრივი რესურსების სიუხვე (ტბები, წყლები, ტყე) 4. ტურისტული ობიექტების მრავალფეროვნება და სიმრავლე; 5. ცნობილი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი აბასთუმნი; 6. კურორტ აბასთუმანში გამართული გამაჯანსაღებელი, დასასვენებელი, გასართობი ინფრასტრუქტურა; 7. სამკურნაო თერმული წყლები. 8. ასტროფიზიკური ობსევატორია; 9. ბუნებრივი ეთნოლოგიური ძეგლების მრავალფეროვნება; 10. თავისუფალი სასოფლო-სამერნეო მიწები; 11. ტყის კენკროვანი მცენარეების მრავალფეროვნება და სიმრავლე; 12. „კახარეთ ჰესი“ 13. მინერალური წყალი „ფლატე“ 14. ფერადი და იშვიათი ლითონები;	1, მუნიციპალიტეტის არასაკმარისი ცნობადობა. 2. არასაკმარისი მუნიციპალური სერვისები. 3. განუვითარებელი ტურისტული ინფრასტრუქტურა ; 4. ტურისტებისთვის ნაკლები ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტზე; 5. ბიზნეს სერვისებისა და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა; 6. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასარწყავიანების პრობლემა; 7. სამეწარმეო პროექტების დაფინანსებაზე მოსახლეობის ნაკლებად ინფორმირებულობა; 6. ადგილობრივი შრომისუნარიანი კადრების მიგრაცია; 8. კერძო სექტორის ინერტულობა. 10. ინვესტიციებისა და ფინანსური ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. 11. არასაკმარისად გამართული საგზაო და ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; 12. სამუშაო ადგილების სიმცირე; 13. ადგილობრივი მეწარმეებისთვის (საოჯახო ფერმერებისთვის) ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. 14. მაღალპროცენტიანი საპროცენტო განაკვეთი.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
1. ქვეყანაში მოქმედი ბიზნეს ხელშემწყობი პროექტები; 2. მუნიციპალიტეტში სატრასპორტო მაგისტრალის უმოკლესი პერსპექტივა; 3. ტურისტების ზრდის მაღალი ტენდენცია; 4. მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქტზე მზარდი მოთხოვნა; 6. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა; 7. კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების ხელშწყობა;	1. სოფლის-მეურნეობაში გავრცელებული მავნებლები (ფაროსანა) და მცენარეთა და პირუტყვთა დაავადებები; 2. ქვეყანაში მიგრაციის მაღალი ტენდენცია; 3. დაბალი სახელფასო განაკვეთი. 4. Covid პანდემიის პროცესების გამწვავება; 5. ახალგაზრდების გადინება;

8. ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა და ბიზნესის დაწყების სიიოლე; 9. ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე. 10. კურორტი აბასთუმანის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება და ტურისტული ნაკადის ზრდა.	

ადიგენის მუნიციპალიტეტის დასავლეთ-სამხრეთ და ბათუმი-ადიგენი-ახალციხის მაგისტრალზე მდებარეობს ახალი ტურისტული პერსპექტივა და სოფლის მეურნეობის ხელშემყობი სახელმწიფო პროგრამები. აღნიშNული მაგისტრალების საშუალებით მერიას გაეზრდება ტურისტული ნაკადები და შემოსავლები, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას და მცირე ბიზნეს მიეცემა საშუალება განავითარონ თავიანთი ბიზნესები, გააუმჯობესონ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობა და გაზარდონ შემოსავლები. ქმედებები მიმართული უნდა იყოს იმ ძირითადი გამოწვევების დასაძლევად რომელიც სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა:

-მუნიციპალიტეტის ცნობადობის ნაკლებობა და საერთაშორისო პარტნიორების სიმცირე;

- მცირე მოცულობის ინვესტიციები სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორებში;

- სოფლის მეურნეობის სექტორში დაბალი დამატებული ღირებულება;

- დასაქმების შესაძლებლობათა სიმცირე და დასაქმებულთა დაბალი სახელფასო განაკვეთი კერშო სექტორში;

- არასათანადოდ განვითარებული ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა;

- მნიშვნელოვანი ფართობის აუთვისებელი ტერიტორიები/მიწები და შენობა-ნაგებობები;

- ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა;

- ფერმერული მეურნეობების განვითარების დაბალი დონე (ფერმერების უმრავლესობა იღწვის საარსებო ან ნახევრად კომერციული ბიზნესის შესანარჩუნებლად);

- ბიზნესისა და მარკეტინგისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ნაკლებობა, წარმოების შესაძლებლობების განვითარების დაბალი დონე;

- კერძო სექტორის არასაკმარისი აქტიურობა საჯარო სექტორთან დიალოგში;

- საქონლის ექსპორტისთვის კონკურენტუნარიანი პროდუქციის სიმცირე; ადგილობრივი კულტურების არასაკმარისი განვითარება იმპორტული პროდუქციის მიმართ კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით;

-საკონსულტაციო მომსახურებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; ახალი ტექნოლოგიების სიმწირე; -

- ადგილობრივი კერძო სექტორის პასიურობა საჯარო სექტორთან დიალოგსა და ურთიერთობებში.

- COVID 19 პანდემიით მიყენებული ზიანი და არსებული რეალობის გავლენა.

8. ხედვა და მიზნები

ადიგენის მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად ძლიერი, მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურა, გაზრდილი ტურისტული ნაკადები და შექმნილი ბიზნეს საინვეტიციო გარემო.

ხედვა გრძელვადიანია. სასურველი შედეგის მისაღებად მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, ადგილობრივი კერძო სექტორისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი ჩართულობა და მრავალწლიანი ძალისხმევა დასჭირდება, მისი მიღწევა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ 2022 წლების პერიოდს მნიშვნელოვნად გასცდება.

მიზნები:

4. **მუნიციპალიტეტის აგრო სფეროს წარმომადგენლებისთვის ცნობადობის ამაღლება და ბიო პროდუქტების მოსავლიანობის გაზრდაზე ხელშეწყობა;**

5. **ტურისტების ინფორმირებულობა და მიმზიდველი გარემოს შექმნა;**

6. **მუნიციპალიტეტის ცნობიერების ამაღლება.**

9. სამოქმედო გეგმა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია პარტნიორობისა და ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით, რომელიც მათივე აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით განხორციელდება კონკრეტულ ვადებში. სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია აგრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობაზე, ტურისტული სექტორის განვითარებაზე და მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობაზე. სამოქმედო გეგმაში გაწერილი ცალკეული ღონისძიებებისა და მთლიანი გეგმის შესრულებაზე მთავარი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი პირია მუნიციპალიტეტის მერია და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

თემატური ბლოკები	მთავარი მიზნები	ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)	მონაწილე პარტნიორები	საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)	მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები	შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები
1.გარე პოზიციონირება და მარკეტინგი, 2.ფინანსურ ხელმისაწვდომობა, უნარები და ადამიანური კაპიტალი, ჩართულობა	1. მუნიციპალიტეტის აგრო სფეროს წარმომადგენლებისთვის ცნობიერების ამაღლება, აგრო პროექტების დაფინანსების საკითხში. და ბიო პროდუქტების მოსავლიანობის გაზრდის ხელშეწყობა.	1.1. აგრო სექტორის ცნობიერების ამაღლება, აგრო პროექტებთან დაკავშირებით შეხვედრების გამართვა ადმინისტაციულ ერთეულებში	04/2022-/2022	ადიგენის მუნიცი-პალიტეტის მერია, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო, დონორი ორგანიზაცია.	50 000 ლარი 1750 ევრო,	აგრო სექტორში ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით ჩატარებულია შეხვედრები, ადმინისტრაციულ ერთეულებში და ინფორმირებულია 10 (ათი) ათასი როგორც საოჯახო ასევე კერძო ფერმერი.	მაქსიმალურად მიიღეს ინფორმაცია აგრო სექტორში პროექტების დაფინანსების საკითხში. მიღებული აქვთ მონაწილეობა პროექტების დაფინანსების თაობაზე. დაფინანსებულია როგორც ადგილობრივი საოჯახო ფერმერი ასევე აგრო მეწარმეები, გაზრდილია მათი შემოსავლები, ეკონომიკური დონე და გაზრდილია მოტივაციის დონე.
		1.2.ადგილობრივი მეწარმეებისთვის ფერმერებისთვის ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. აგრო სექტორის განვითარება ხელშეწყობა	06/2022-11/2022	ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია რეგიონალური განვითარების ფონდი	260207 ლარი 9108 ევრო	საოჯახო ფერმერების და მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის დროულად და ხარისხიანად ტრანსპორტირება და ბაზრებზე ხელმისაწვდომობა.	გაზრდილია საოჯახო ფერმერებისა და მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ხარისხი, გაუმჯობესებულია მათი ეკონომიკური მდგომარეობა და გაზრდილია შემოსავლები.
		1.3. აგრო სექტრორის განვითარება, ბიო პროდუქტების მოსავლიანობის გაზრდაზე ხელშეწყობა.	04/2022-12/2022	ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია რეგიონალური განვითარების ფონდი	108770 ლარი 3807 ევრო	მოხდა მუნიციპალიტეტის 150-200 გექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების გასარწყავიანება.	გაზრდილია ბიო პროდუქტების წარმოება, გაზრდილია მოთხოვნა, აგრო წარმომადგენლების კმაყოფილების დონე გაზრდილია, გაზრდილია აგრო სფეროს წარმომადგენლების შემოსავლები და გაზრდილია მუნიციპალიტეტის ეკონომიკა.
1.უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება	2. ტურისტების ინფორმირებულობა და მიმზიდველი გარემოს შექმნა.	2.1. ტურისტებისთვის საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა	05/2022 10/2023	მსოფლიო ბანკი	1000000ლარი 28571429 ევრო	აშენებულია ტურისტული ცენტრი, რომლის მეშვეობითაც ტურისტები იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული სანახაობების შესახებ.	გაზრდილია - ტურისტების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის შესახებ, გაზრდილია ტურისტების ნაკადები, გაზრდილია ტურისტების კმაყოფილების დონე. გაზრდილია მუნიციპალიტეტის შემოსავლები და ეკონომიკური მდგომარეობა.

2.გარე პოზიციონირება და მარკეტინგი		2.2 მუნიციპალიტეტში ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა ოქროს ციხის მშენებლობა-რეგილიტაცია.	12/2022-11/2024	დონორი	3 500 000 ლარი 877 190 ევრო	შექმნილია ახალი მიმზიდველი ტურისტული ზონა, ახალი ტურისტული სანახაობებით. რომელიც იწვევს ტურისტების დაინტერესება- მოზიდვას.	გაზრდილია ტურისტების ინტერესთა სფერო, გაზრდილია ტურისტული ნაკადები და ტურისტების კმაყოფილების დონე. გაზრდილია მუნიციპალიტეტის შემოსავლები და ეკონომიკა.
1.მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო; 2. წვდომა ფინანსებზე 3.გარე პოზიციირება და მარკეტინგი	3.მუნიციპალიტეტის ცნობიერების ამაღლება	3.1.მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ყოველწლიური ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულის მოწყობა.	10/2019-11/2019	ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივი მეწარმეები. მეფუტკრეები.	100 000 ლარი 28 070 ევრო	ჩატარებულია ადგილობრივი ფესტივალები/ღონისძიებები. გამოფენა/გაყიდვები.	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა, წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია; გაეზარდათ შემოსავლები ადგილობრივ მწარმოებლებს /ფესტივალებში და სახალხო დღესასწაულებში მოწვეულთა ოდენობა, პროდუქციის რეალიზაციის ზრდა, გაყიდვების ზრდა, მწარმოებელთა შემოსავლების ზრდა, სამუშაო ადგილების ზრდა.
		3.2. ტურისტებისთვის ცნობიერებისს ამაღლება, ტურისტული საინფორმაციო დაფის მოწყობა.	12/2022-02/2023	ადიგენი მუნიციპალიტეტის მერია ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10000 ლარი 3 500 ევრო	ტურისტების ცნობადობის ასამაღლებლად, დამზადებულია მუნიციპალიტეტის დაბა ადიგენის შემოსასვლელში ტურისტული საინფორმაციო დაფა.	დამზადებულია ტურისტული საინფორმაციო დაფა, გაზრდილია ტურისტების ცნობადობა და ტურისტების ნაკადი, ამაღლებულია მომსახურების ხარისხი.

10. დაფინანსების სქემა

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დაფინანსების სქემაში განსაზღვრული თითოეული ღონისძიები ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება შემდეგნაირად: პირველი ღონისძიებას აფინანსებს 100-%-ით, მეორე ღონისძიებას აფინანსებს 11 %-ით, მესამე ღონისძიებას აფინანსებს 30-%-ით, მეოთხე ღონისძიებასდონორის იმედად, მეხუთე ღონისძიებას აფინანსებს 5-%-ით, მეექვსე ღონისძიებას 100%-ით და მეშვიდე ღონისძიება 100%-ით.

ღონისძიებები	*საორიენტაციო ღირებულება*	*დაფინანსებ24 5ის წყარო*				*წყვეტა დაფინანსებაში*	*შენიშვნები*
		ადგილობრივი ბიუჯეტი	*მაღალი დონის ბიუჯეტი*	*ბიზნესი*	*დონორები*		
1. აგრო სექტორის ცნობიერების ამაღლება, აგრო პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით შეხვედრების გამართვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.	50 000 ლარი 1750 ევრო	50 000 ლარი 1750 ევრო					
2. ადილობრივი მეწარმეებისთვის, ფერმერებისთვის ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, აგრო სექტორის განვითარების ხელშეწყობა	260207 ლარი 9108 ევრო	28749 ლარი 10062,15ევრო	231458 ლარი 8101,03 ევრო				
3. აგრო სექტორის განვითარებაბია, ბიო პროდუქტების მოსავლიანობის გაზრდაზე ხელშწყობა.	108770 ლარი 3807 ევრო	32770 ლარი 1147 ევრო	76000 ლარი 2660 ევრო				
4. ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა	1000000 ლარი 35000 ევრო				1000000 ლარი 35000 ევრო		
5. ოქროს ციხის მშენებლობა რეაბილიტაცია	3500000 ლარი 122500 ევრო	175000 ლარი 6125 ევრო			3325000ლარი 116375 ევრო	3325000ლარი 116375 ევრო	
6.მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ყოველწლიური ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულების მოწყობა.	30 000 ლარი 1050 ევრო	30 000 ლარი 1050 ევრო					
7. ტურისტებისთვის ცნობადობის ამაღლება, ტურისტული საინფორმაციო დაფის მოწყობა.	10 000 ლარი 350 ევრო	10 000 ლარი 350 ევრო					
ჯამი	**4958977 ლარი 173564,20 ევრო**	**326519 ლარი 11428,17ევრო**	**307458 ლარი 1076,103 ევრო**		**4325000 ლარი 151375 ევრო**	**3325000ლარი 116375 ევრო**	

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულებას კოორდინაციასა და მონიტორინგს გაუწევს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი და პარტნიორების მიერ ჩამოყალიბებული მონიტორინგის კომიტეტი. მონიტორინგის ჯგუფი თანაბრად იქნება დაბალანსებული ქალებით და მამაკაცებით. ჯგუფი ყოველ 2-3 თვეში ერთხელ შეიკრიბება, შეაჯამებს გაწეულ სამუშაოებს და იმსჯელებს სამომავლო ღონისძიებების განხორციელების ეფექტურ გზებზე.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმაში გაწერილ ღონისძიებების შესრულებას და მათი ეფექტიანობის შეაფასებას განახორციელებს სამუშაო ჯგუფი ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.

ქმედება	*ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24*
1აგრო სექტორის ცნობიერების ამაღლება, აგრო პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით შეხვედრების გამართვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.	04/2022-10/2022	შერჩეულია აგრო სექტორში სამიზნე ჯგუფი, შედგენილია შეხვედრებზე წარსადგენი საკითხები.	შედგენილია გრაფიკი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შეხვედრებთან დაკავშირებით. ინფორმირებული არიან მოსახლეობის თითქმის 60%, რომელიც შეადგენს 10600ბენეფიციარს.	აგროდაფინანსების პროგრამებთან დაკავშიებით ინფორმირებული არიან მოსახლეობის 90%, მათი რიცხოვნობა შეადგენს 10600 ბენეფიციარს. ომელთა ცნობიერების დონე გაზრდილია აგრო პროექტების განხორციელების თაობაზე.	შეხვედრების შედეგად ცნობიერება აუმაღლდათ დაახლოებით 10600 მდე ბენეფიციარს, დაწყებულია აქტიური მონაწილეობის მიღება აგრო პროექტევის დაფინანსების ფარგლებში. გაიზარდა აგრო პროექტების დაფინანსების მოთხოვნაზე განაცხადები.
2ადილობრივი მეწარმეებისთვის, ფერმერებისთვის ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, აგრო სექტორის განვითარების ხელშეწყობა	06/2022-11/2022	მიღებულია დაფინანსება რეგიონალური განვითარების ფონიდან ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტიდან შექმნილია სამიზნე ჯგუფი შერჩეულია ფერმერები და მეწარმეები,	შერჩეულია 60 საოჯახო ფერმერი და მეწარმე რომელთა ბაზარზე ხელმისაწვდომობაც გაიზრდება.	დაწყებულია 60 საოჯახო ფერმერისა და მეწარმეებისთვის ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების პროცესი.	60 საოჯახო ფერმერისთვის და მეწარმისთვის გაზრდილია ბაზრებზე ხელმისაწვდომობა და გაზრდილია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის დონე.
3. აგრო სექტორის განვითარებაბია, ბიო პროდუქტების მოსავლიანობის გაზრდაზე ხელშწყობა.	05/2022-10/2022	დაიგეგმა მუნიციპალიტეტში 150-200 გექტრამდე სახნავ-სათესის გასარწყავიანება.	შერჩეულია 8 დასახლებული პუნქტი, სადაც მოხდება 150-200 გექტრამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასარწყავიანება.	გასარწყავიანებულია მუნიციპალიტეტის 8 დასახლებულ პუნქტში 150-200მდე სასოფლო სამეურნეო სავარგულები.	გასარწყავიანების შედეგად მიღებულია ბიო პროდუქტის მატება და მატებასთან ერთად გაზრდილია ბაზრებზე ბიო პროდუქტებზე მოთხოვნის დონე.

4.ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა	04/2022-11/2022	შერჩეულია ადგილი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობისთვის. შეძენილია პროექტი, გამოცხადებულია ელექტრონული აუქციონი.	გამოვლენილია გამარჯვებული დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები.	დასრულებულია მშენებლობა, მიმდინარეობს შიდა სარემონტო სამუშაოები. მიმდინარეობს კადრების შერჩევის საკითხები.	დასრულებულია მშენებლობა, დასაქმებული არიან კადრები, ამ ეტაპზე საინფორმაციო ცენტრი ემსახურება 25000 დან 30000 მდე ტურისტს. სამომავლოდ ვიმედოვნებთ ტურისტთა ნაკადების ზრდას.
5. ოქროს ციხის მშენებლობა რეაბილიტაცია	10/2022-11/2023	მიმდინარეობს დაფინანსების მოსაპოვებლად ინვესტორის მოძება. მოხდა ოქროს ციხის დათვალიერება, შედგენილია საპროექტო დოკუმენტაცია, მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.	მოძიებულია ინვესტორი, მოხდა ოქროს ციხის დათვალიერება, შედგენილია საპროექტო დოკუმენტაცია, მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება. გამოვლენილია გამარჯვებულია, დაწყებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები.	დაშენებულია ციხის კედლები, მიმდინარეობს ძველი არქიტექტურის განახლება, ასევე მიმდინარეობს ისტორიული ძეგლის პირვანდელი სახის დაბრუნება.	დასრულებულია კედლების მშენებლობა, მოწყობილია ინფრასტრუქტურა, გაზრდილია ტურისტთა დაინტერესება. ასევე გაზრდილია ტურისტული ნაკადები.
6.მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ყოველწლიური ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულების მოწყობა.	12/2019-02/2020	ტურისტული პაკეტის მოსამზადებლად შესწავლილია მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ობიექტები.	ტურისტულ პაკეტში ჩამოთვლილია ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებული ღირშესანიშნავი სანახაობები პრიორიტეტების მიხედვით.	შექმნილია ტურისტული პაკეტი რომლითაც პირველ ეტაპზე ისარგებლა 150 მდე ტურისტმა, ამაღლებულია ტურისტების ცნობადობისა და კმაყოფილების დონე.	ტურისტული პაკეტით მოსარგებლე ტურისტების რაოდენობა გაზრდილია 300 და 400 ტურისტამდე, მათი ცნობადობის დონე ამაღლებულია, ასევე ამაღლებულია კმაყოფილების დონეც, გაზრდილია ტურისტული ნაკადი.
ტურისტებისთვის ცნობადობის ამაღლება, ტურისტული საინფორმაციო დაფის მოწყობა.	ტურისტული საინფორმაციო დაფის მოსაწყობად შერჩეულია ადგილი და შერჩეულია მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ობიექტები.	ტურისტულ საინფორმაციო დაფაზე ჩამოთვლილია ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებული ღირშესანიშნავი სანახაობები პრიორიტეტების მიხედვით.	შექმნილია ტურისტული პაკეტი რომლითაც პირველ ეტაპზე ისარგებლა 150 მდე ტურისტმა, ამაღლებულია ტურისტების ცნობადობისა და კმაყოფილების დონე.	საინფორმაციო დაფით მოსარგებლე ტურისტების რაოდენობა გაზრდილია 300 და 400 ტურისტამდე, მათი ცნობადობის დონე ამაღლებულია, ასევე ამაღლებულია კმაყოფილების დონეც, გაზრდილია ტურისტული ნაკადი.	გაზრდილია საინფორმაციო დაფით მოსარგებლე ტურისტების რაოდენობა დაახლოებით 1500 დან 3000 მდე, მომავალში წლის განმავლობაში ვიმედოვნებთ ტურისტული ნაკადების უფრო მეტად მატებას, მოსარგებლეთ რიცხვი დაახლოებით გაიზრდება წლის განმავლობაში 10000 დან 25000 მდე.
დახარჯული % (საორიენტაციო)	100 %	25%	25%	25%	25%